ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №681234

ნომერი: AR1125204

თარიღი : 18.04.2013

გაცემის თარიღი : 10.05.2013

გაცნობის თარიღი : 10.05.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღომი-გლდანის შემაერთებელი გზა ავტოგასამართ სადგურ "ვაგი"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯიმშერ მჭედლიშვილი პ/ნ 01022007884
- თბილისი თემქა XI მ/რ II კვ. კორ. 38 ბ. 71

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 10 თებერვლის #მ–223 არქიტექტურულ გეგმარებით დავალებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 18 აპრილს #AR1125204 განცხადებით მომართა მოქ. ჯიმშერ მჭედლიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 10.02.2005წ. #მ–223 არქიტექტურულ გეგმარებით დავალებაზე ახალი საკადასტრო გეგმის დამატება. სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, გლდანი–ნაძალადევის რაიონში, დიღომი გლადანის შემაერთებელ გზაზე, ავტოგასამართი სადგური „ვაგი“–ს მიმდებარედ ავტომომსახურებისა და სავაჭრო ობიექტის ასაშენებლად დადგენილ

იქნა 10.02.2005წ. #მ–223 არქიტექტურულ გეგმარებითი დავალება. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა 460 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: 01.11.17.001.019. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საპტროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმით (საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის # 892012169742; მომზადების თარიღი: 23.01.13წ. საკადასტრო კოდი: 01.11.17.001.019) ირკვევა, რომ დღეის მდგომარეობით შეცვლილია სამშენებლო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია ფართობისა და საკადასტრო კოდის უცვლელად.
“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ˜ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად, იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, ვრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. იმ დროისათვის მოქმედი “არქიტექტურული საქმიანობის შესახებ” 1998 წლის 14 აპრილის საქართველოს კანონის თანახმად არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება არის საქართველოს კანონმდებლობით, ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტების კომპლექსითა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომელიც ადგენს არქიტექტურული ობიექტის დანიშნულებას, მის პარამეტრებს, ტერიტორიულ ფარგლებს, მიწის ნაკვეთზე განთავსებას, აგრეთვე მისი დაპროექტებისა და მშენებლობის ეკოლოგიურ, ტექნიკურ, ორგანიზაციულ და სხვა პირობებს. შესაბამისად, არქიტექტურულ გეგმარებით დავალებაში უნდა აისახოს საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები მაგრამ ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული და, ამასთან საპროექტო მიწის ნაკვეთს შეეცვალა კონფიგურაციით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია არქიტექტურულ გეგმარებით დავალებას დაამატოს ახალი საკადასტრო გეგმა მიწის ნაკვეთის შეცვლილი კონფიგურაციის ასახვით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ˜ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის, “არქიტექტურული საქმიანობის შესახებ” 1998 წლის 14 აპრილის საქართველოს კანონის და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე’’ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 10.02.2005წ. #მ–223 არქიტექტურულ გეგმარებითი დავალებაში, კერძოდ: დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის # 892012169742; მომზადების თარიღი: 23.01.13წ. საკადასტრო კოდი: 01.11.17.001.019) საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის შეცვლასთან დაკავშირებით;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 10.02.2005წ. #მ–223 არქიტექტურულ გეგმარებით დავალებასთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.